პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 ივნისი, კვირა, 1987 წ.
№ 111 (9522) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაცნობი გვარები

**გრძელდება** ამიერკავკასიის საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლა. მესამე ეტაპს (თბილისი —სიღნაღი — თბილისი, 198 კილომეტრი) არსებითი ცვლილებები არც პირად და არც გუნდურ ასპარეზობაში არ შეუტანია. სამივე საპრიზო ადგილი კუიბიშეველმა სპორტსმენებმა მოიგეს: სპორტის ოსტატმა ვიქტორ პელკოვსკიმ (მეორე გუნდი), საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა კონსტანტინე ბანკინმა და სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვიქტორ დემიდენკომ (ორივე — პირველი გუნდი). დრო სამივეს ერთნაირი ჰქონდა — 4.46.00. ასეთ სიტუაციაში გუნდურ გამარჯვებას, ცხადია, კუიბიშეველები მოიპოვებდნენ, უფრო სწორად მათი პირველი კოლექტივი — 14:18.00. ეტაპზე მესამე ადგილი ოლიმპიური მზადების ცენტრს — „ივერიას" ხვდა — 14:47.10.

ამ სამთო ეტაპზე ორი საშუალედო ფინიში გათამაშდა. პირველ საშუალედო ფინიშზე ოლეგ რიპამ (კუიბიშევი — I) გაიმარჯვა (მამუკა გვარაძე მესამე იყო), მეორეზე კი სერგეი უშაკოვმა (საბჭოთა არმია და სამხედრო საზღვაო ფლოტი).

სამი დღის შემდეგ პირად ჩათვლაში ლიდერობენ: დემიდენკო — 9:08.05, ბანკინი — 9:08.08 და პელკოვსკი — 9:10.31, გუნდურში პრიზიორთა სამეული ჯერჯერობით ასე გამოიყურება: კუიბიშევი —I— 27:30.44, საბჭოთა არმია და სამხედრო საზღვაო ფლოტი —27:39.51 და კუიბიშევი—II — 28:16.17 („ივერია" მეხუთე ადგილზეა — 28:16.17).

ცალკე მიმდინარეობს ჩათვლა სამთო ეტაპებზე გამორჩეულ ველოსიპედისტთათვის. აქ დაწინაურდა ოლეგ რიპა — 5 ქულა. 4 ქულით მეორე ადგილზეა მინსკელი ალექსი მაჩიხინი, მესამე-მეოთხე ადგილებს დემიდენკო და უშაკოვი იყოფენ — 3-3 ქულა.

**ა. ჭიჭინაძე,**
**საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.**

საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლა



# სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

1917 1987
ВСЕСОЮЗНЫЕ ИГРЫ УЧАЩИХСЯ СПОРТИВНЫХ ШКОЛ

**ასეთი შეჯიბრება პირველად ტარდება, თუმცა მოსწავლეთა სპარტაკიადო შეჯიბრებების პრინციპი — ჩვენი სპორტის ხვალინდელი დღის დათვალიერება-შემოწმება — უცვლელი რჩება.**

**ჩვენ უკვე მივეჩვიეთ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადებს, რომელთა ქურაში სამი ათეული წლის მანძილზე საბჭოთა სპორტის საუკეთესო წარმომადგენელთა არაერთმა თაობამ გაიარა. დიდი სპორტის გზა-ბილიკი ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტული სკოლებიდან იწყება. ამ გზას მიჰყავს რჩეულები ოლიმპიური თამაშებისა თუ მსოფლიოს პირველობათა საპატიო კვარცხლბეკისაკენ. და აი, წინ არის ნორჩ სპორტსმენთა კიდევ ერთი საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც მხოლოდ სპორტული სკოლების მოსწავლეები იასპარეზებენ.**

**ეს ღონისძიება, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს ეძღვნება, მოსწავლეთა სპარტაკიადების სანაცვლოდ ტარდება. განსხვავება ის არის, რომ მოკავშირე რესპუბლიკების ნორჩი სპორტსმენები რამდენიმე ნაკრებ გუნდად გაერთიანდებიან, ცალკე იასპარეზებენ პროფკავშირების, „შრომითი რეზერვების", არმიისა და სხვა ნაკრები გუნდები. სარბიელზე დამოუკიდებელ ნაკრებ გუნდებად გამოვლენ მხოლოდ საქართველოს სპორტსმენები, როგორც თამაშების მასპინძლები.**

**ჩვენს რესპუბლიკაში მოსწავლე სპორტსმენთა დიდი ფორუმი პირველად 1958 წელს ჩატარდა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, განათლების სამინისტრო, სპორტსახკომი, კომკავშირი, პროფკავშირების სპორტული საზოგადოებების რესპუბლიკური საბჭო, პროფკავშირული სპორტული საზოგადოებები, უწყებები და სამინისტროები, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა ყველაფერს აკეთებენ, რათა ნორჩ სპორტსმენთა თამაშებს საქართველომ ღირსეული მასპინძლობა გაუწიოს. თამაშებისთვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შედის. სულ მალე საგანგებო კომისია დაათვალიერებს და ჩაიბარებს იმ სპორტულ ბაზებს, სადაც შეჯიბრებები ჩატარდება. შემუშავებულია ასპარეზობის მონაწილე სპორტულ დელეგაციებთან კულტურული და საშეფო მუშაობის მრავალფეროვანი პროგრამა.**

**საბჭოთა სპორტის ხვალინდელი დღის დათვალიერება-შემოწმება მეტად საპასუხისმგებლო ღონისძიებაა. ამავე დროს, იგი მასპინძელთა გამოცდაც არის — გამოცდა სარბიელზე და გამოცდა საორგანიზაციო საქმეში. ღირსეულად ვემზადოთ ამ გამოცდისათვის.**

საქართველოს ტელევიზიის პრიზზე

# მეხუთე ასპარეზობა

**ხვალ** თბილისის „დინამოს" სტადიონზე დინამოელებისა და დონეცკის „შახტიორის" მატჩის დღეს, გაიმართება ნორჩ მძლეოსანთა რესპუბლიკური შეჯიბრების მე-5 „რაუნდი" — მეხუთე ასპარეზობა საქართველოს ტელევიზიის პრიზის მოსაპოვებლად. ამჯერად სტარტზე გამოვლენ გალის, ლენინგორის, ბოგდანოვკის, ლანჩხუთის, ბორჯომის, ორჯონიკიძის რაიონები, აგრეთვე ქუთაისის ლენინისა და თბილისის ოქტომბრის რაიონების გუნდები. მათგან ოთხი უძლიერესი კოლექტივი მონაწილეობას მიიღებს შემდეგი ეტაპის, ანუ მეოთხედფინალურ შეჯიბრებებში.

შეგახსენებთ, ეს უფლება უკვე მიიღო 16 გუნდმა. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ნახევარფინალში ბრძოლის გასაგრძელებლად სრულიადაც არ არის საჭირო, რომ რაიონის გუნდებში საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების წევრები იყვნენ. ყურადღებით შერჩეული, პერსპექტიული მძლეოსნებისაგან შემდგარ თანაბარი ძალის გუნდსაც წარმატებით შეუძლია გადალახოს ეს ბარიერი. მაგრამ, სამწუხაროდ, მძლეოსანთა საგულდაგულო შერჩევას ვინ ჩივის, ზოგიერთმა რაიონმა საერთოდ აარიდა შეჯიბრებას თავი. იმედია, დღესაც და მომავალ შეჯიბრებებზეც „დინამოს" სტადიონის ბილიკებზე რვა-რვა გუნდს ვიხილავთ.

# სსრ კავშირი — დანარჩენი „ძველი სამყარო"

აი, ასეთი უნიკალური გამოდგა ფინიში ევროპის მოკრივეთა 26-ე ჩემპიონატისა, რომელიც გუშინ, გვიან ღამით, იტალიის ქალაქ ტურინში დამთავრდა.

12 ფინალური ბრძოლიდან 10 საბჭოთა მოკრივეების მონაწილეობით ჩატარდა. ამდენად, ეს დაძაბული შეხვედრები უფრო სსრ კავშირისა და „ძველი სამყაროს" მატჩს ჰგავდა.

ფინალურ ბრძოლებში ოქროს მედლების ათივე პრეტენდენტი საბჭოთა მოკრივე და მათი მეტოქეები „ლელოს" მკითხველებმა გუშინდელი გაზეთის ნომერში გაიცნეს. მათ გარდა ჩემპიონობისათვის იბრძოდნენ 51 კგ წონით კატეგორიაში ტეფსი (გდრ) — ვარადი (უნგრეთი), 75 კგ-ში კი მასკე (გდრ) — პეტრიხი (პოლონეთი).

**18-20 ივნისს სპორტული შეჯიბრებები და ზეიმები ჩატარდება ღია და დახურულ საცურაო აუზებზე, მათში მონაწილეობას მიიღებენ გამაჯანსაღებელ ჯგუფებში მომეცადინენი, ყველა მოყვარული, სპორტსმენები.**



**როგორც გაუწყეთ, 13 ივნისს დაიწყება და 31 აგვისტომდე გაგრძელდება ცურვის საკავშირო ღონისძიებები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ცურვის მასობრივ შესწავლას ხელოვნურ წყალსაცავებზე, ტბებზე და ზღვის სანაპიროებზე.**

**როგორ ვემზადებით ამ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებისთვის?**

საქართველოს ღია პირველობა ბადმინტონში

# დიდი ასპარეზობის წინ

**გუშინ** თბილისის ჩოგბურთის კორტებზე (მარჯანიშვილის ქ. № 29) დაიწყო საქართველოს ბადმინტონისტთა ღია ჩემპიონატი. ასპარეზობაში 32 ქალი და ამდენივე ვაჟი გამოდის. მათ შორის არიან მინსკის, კიევის, ოდესის, დნეპროპეტროვსკის, თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის წარმომადგენლები.



—ეს შეჯიბრება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია საბჭოთა კავშირის ჩემპიონატისა, რომელიც ალმა-ათაში გაიმართება სექტემბერში,— გვითხრა ასპარეზობის მთავარმა მსაჯმა, რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრმა ლევან ქურხაშვილმა, — ამიტომ არის, რომ თბილისის ტურნირზე თავი მოიყარა ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესმა ბადმინტონისტმა.

ჩვენი ქალაქის გულშემატკივრებს საშუალება აქვთ სარბიელზე იხილონ სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ანატოლი სკრიპკო, ვიტალი შმაკოვი (ორივე — მინსკი), ქვეყნის ნაკრების წევრები, თბილისელი სპორტის ოსტატები ინგა ბერიძე, ალა არშუკოვა, დავით კავილაძე და სხვანი.

შეგახსენებთ, რომ შეჯიბრება გაიმართება ერთეულთა, წყვილთა და შერეულ წყვილთა კატეგორიებში.

**არტემ მალაიანცი,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**



**საბჭოთა კავშირის, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლევან თედიაშვილი დაინიშნა თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა ახალ თავმჯდომარეს და ესაუბრა ქალაქის ფიზკულტურისა და სპორტის პრობლემებზე.**

# ერთ საქმეს შეჭიდებულნი

● **რა როლი აქვს განკუთვნილი თბილისს რესპუბლიკის ფიზკულტურულ ცხოვრებაში?**

— ამ შეკითხვას პასუხი ჩემი პირადი ცხოვრებიდან შემიძლია გავცე. მე სოფელში დავიბადე და გავიზარდე. სპორტსაც იქ ვეზიარე. მაგრამ საცხოვრებლად სოფელში რომ დავრჩენილიყავი, ჩემპიონი ვერ გავხდებოდი. თბილისში ერთად არის თავმოყრილი ყველაფერი კარგი და საუკეთესო, რაც ჩვენს სპორტს გააჩნია: მწვრთნელები, ბაზები, მეტოქეები და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საქმიანი ურთიერთობანი, წმინდა სპორტული ატმოსფერო. ჩემი აზრით, ვისაც სურს დიდი სპორტსმენი გახდეს, ადრე თუ გვიან თბილისური ცხოვრების წესს უნდა ეზიაროს. უმჯობესია, თუ ეს ადრე მოხდება.

● **სხვაგვარად რომ ვთქვათ, თბილისში კონცენტრირებულია ყველაფერი მოწინავე, რაც ჩვენს სპორტს გააჩნია.**

— ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს. სანამ ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გავხდებოდი, ასე მეგონა.

● **მერე აზრი შეგეცვალათ?**

— აზრი არ შემცვლია, მაგრამ მივხვდი, რომ საქალაქო სპორტკომიტეტის ფუნქციები საგრძნობლად უნდა გაფართოვდეს. რაკი საქართველოს სპორტის საუკეთესო ძალები სანახევროდ (თუ მეტად არა) თბილისშია თავმოყრილი, ქალაქის სპორტკომიტეტს მეტი უფლებები, პრაქტიკული საქმიანობის მეტი საშუალება უნდა ჰქონდეს.

● **იქნებ უფრო კონკრეტულად განმარტოთ თქვენი მოსაზრება? რა ფუნქციებსა და უფლებებს გულისხმობთ?**

— აკი მოგახსენეთ, რომ ყველაფერი საუკეთესო, რაც რესპუბლი-

იხ. მე-2 გვ.

# საქართველოს სპორტსახკომში

სპორტსახკომის კოლეგიის მორიგ სხდომაზე განიხილეს თბილისის 35-ე, „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ოლიმპიური რეზერვის საფეხბურთო სპორტსკოლებში, „განთიადის“ ცურვის ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლაში ჩატარებული სახელმწიფო მიღების შედეგები. აღინიშნა, რომ სახელმწიფო მიღებაზე გამოვლინდა ბევრი ისეთი ნაკლი, რაც ყოვლად მიუტევებელია ასეთი სტატუსის სკოლებისთვის. მწვრთნელების, სკოლების ხელმძღვანელების უპასუხისმგებლობის შედეგია, რომ მოზარდების დიდი ნაწილი ვერ აბარებს ელემენტარულ მოთხოვნებს— სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ნორმატივებს. „განთიადის“ ცურვის სპორტსკოლას ჩამოერთვა ოლიმპიური რეზერვის სტატუსი, უმკაცრესად დაისაჯნენ სკოლის ხელმძღვანელები. ამ სკოლების შესახებ კოლეგიის გადაწყვეტილება ვრცლად ცალკე გამოქვეყნდება.

ახლოვდება სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები. კოლეგიამ მოისმინა თამაშებისთვის ხელბურთსა და ტყვიის სროლაში რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადების საკითხი. ხელბურთზე მსჯელობისას შეეხნენ თბილისის განათლების სამმართველოს ხელბურთის ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის მუშაობას, რომელიც აუცილებლად უნდა იქცეს რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის განვითარების მეთოდურ ცენტრად, მუშაობის ხელმძღვანელი და საკოორდინაციო ფუნქციით. წამოაყენეს წინადადება ამ სკოლის რესპუბლიკურ სკოლად გადაკეთების შესახებ. ტყვიის სროლაში არასახარბიელო მდგომარეობაა, რისი მიზეზიც ასევე მწვრთნელთა დაბალი კვალიფიკაცია და ინერტულობაა. მოიყვანეს მაგალითი. იმის საილუსტრაციოდ, რომ, როცა თვით სპეციალისტმა მშობლებმა მოჰკიდეს ხელი შვილების წვრთნას, საკმაოდ ამაღლდა შედეგები. მარტო განათლების სამინისტროს სისტემაში 26 მწვრთნელი მუშაობს, მაგრამ მათგან უმრავლესობა შედეგებს არ იძლევა.

ბოლო ხანებში შეიმჩნევა, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი წამყვანი მოკრივე თმობს პოზიციებს, აშკარა ხდება არაჯანსაღი ურთიერთობა. ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატი ს. სდრიაანი ვერ მოხვდა ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა შორის, მეორე ადგილი დაიკავა სსრ კავშირის ჩემპიონატში, წააგო საერთაშორისო შეხვედრა გფრ-ში. ყველაფერი ეს იმის შედეგია, რომ სდრიაანის პირადი მწვრთნელი გ. ხაჩატუროვი გულგრილად ეკიდება მოვალეობას, შესუსტდა „შრომითი რეზერვების“ კონტროლი. კოლეგიამ გ. ხაჩატუროვს გამოუცხადა საყვედური.

სხდომის დღის წესრიგში იყო აგრეთვე მშვილდოსნობაში სახელმწიფო მიღებისას გამოვლენილი სიყალბისა და უხეში დარღვევის, ჰიდაობის თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის მუშაობის მდგომარეობისა და გარდაქმნის, სპორტული პროფილის რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატში აკადემიური ნიჩბოსნობის განყოფილების მუშაობის საკითხები.

ამ საკითხებთან დაკავშირებით მიღებულია სათანადო დადგენილებები.

## მოძმე რესპუბლიკებში



ყველა საზრუნავი შინ დავტოვოთ — თან მხოლოდ კარგი განწყობილება წავიყოლიოთ!“ — ასეთი მოწოდებით შეხვდა სტუმრებს, უფრო სწორად, მასპინძლებს კაუნასის ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის ქარხნის კულტურის სახახლე.

ტრადიციულ დღესასწაულზე ლიტველ ქიმიკოსთა საწარმოს მუშამოსამსახურეების რამდენიმე ასეულმა ოჯახმა მოიყარა თავი. ზეიმი სპორტული პროგრამით დაიწყო. ოჯახების ესტაფეტებში გამარჯვება იოლი არ იყო: პროგრამაში შედიოდა წინაღობებით რბენაც, დასლართული ლაბირინთიც, ცისფერ ბილიკებზე შეჯიბრებაც. „კედლისა“ და მაგიდის ჩოგბურთის მოყვარულებისთვის მოეწყო ბლიც-ტურნირები.



დასასრული

# ერთ საქმეს შეჭიდებულნი

კას გააჩნია, თბილისშია თავმოყრილი. მაგრამ წარმოიდგინეთ, ქალაქს მაინც არა აქვს თავისი სტადიონი („დინამოს“ სტადიონი „დინამოს“ ეკუთვნის, „ლოკომოტივისა“ — პროფკავშირებს და ა. შ.) და თითქმის ყველა ბაზას სპორტსმენთა სავარჯიშოდ იჯარით ვიღებთ.

● **არის თუ არა იმის საშუალება, რომ ქალაქს თავისი საკუთარი ბაზები ჰქონდეს?**

— ჩვენ ჩვენთვის ვერაფერს ვერ ავაშენებთ, ვინაიდან საამისო სახსრები არა გვაქვს და ამ მხრივ მთლიანად ქალაქის საბჭოზე ვართ დამოკიდებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თბილისის სპორტკომიტეტს სპორტული ბაზების მშენებლობის დარგში ყოველგვარი ინიციატივა ჩამორთმეული აქვს. ერთადერთი გამოსავალი ჩვენთვის, უკვე მოგახსენეთ, ქალაქში არსებული ბაზების იჯარაა, მაგრამ ამასაც ხომ სჭირდება სახსრები? არის კიდევ ერთი უხერხულობა: თბილისის ბევრი ბაზა მოძველდა და კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს. თუ არ შევაკეთეთ, უსათუოდ დაინგრევა და საზოგადოებრიობა პასუხს მოგვთხოვს.

ჰოდა, რაც სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გავხდი, იმის მერე ვარკვევ, ვარკვევ და ვერ გავარკვიე, ვის უნდა მივმართო დახმარებისთვის, ვინ უნდა გამოგვიყოს სახსრები. ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ დახმარების ხელი საშეფო ორგანიზაციებმა უნდა გამოგვიწოდონ. მაგრამ მივიღებთ მხარდაჭერას? ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, განზრახული მაქვს ბოლომდე ვიბრძოლო.

● **ადრე, კარგად გვახსოვს, ქალაქების ნაკრებ გუნდებს შორის საინტერესო სამატჩო შეხვედრები ეწყობოდა (კალათბურთში, მძლეოსნობაში, ცურვაში, სპორტის სხვა სახეობებში). ეს შეჯიბრებები ოსტატობის კარგი სკოლაც იყო და ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლენის საშუალებასაც იძლეოდა. რატომ მიეცა დავიწყებას ეს ტრადიცია?**

— სხვებზე ვერაფერს გეტყვით, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ასეთი შეჯიბრებები იქნებ ტარდება კიდეც, მაგრამ ჩვენ მათში მონაწილეობას მაინც ვერ მივიღებთ, იმის გამო, რომ თბილისის ნაკრები გუნდები სპორტის ცალკეულ სახეობებში, ფაქტიურად, აღარც არსებობს.

● **მაგრამ თქვენ ხომ გაქვთ საქმიანი კონტაქტები უცხოეთის დაძმობილებულ ქალაქებთან (ინსბრუკი, ლიუბლიანა და სხვები). მათთან ურთიერთობას როგორღა ამყარებთ?**

— თბილისის გუნდები დაძმობილებულ ქალაქებში პერიოდულად ჩადიან, ჩვენთანაც ჩამოდიან საპასუხო ვიზიტებით, მაგრამ ეს ყველაფერი სპორტკომიტეტის ფინანსურ გეგმებში არ არის გათვალისწინებული და, თუ ვინმე „კეთილი მფარველი“ არ გამოგვიჩნდა, ცხადია, გუნდსაც ვერ გავგზავნით. შარშან, მაგალითად, ლიუბლიანაში ტანმოვარჯიშეთა გუნდი უნდა წასულიყო. დამზადდა ვიზები, ყველა საჭირო საბუთი, დოკუმენტაცია, მაგრამ სახსრები ვერ გამოინახა და სპორტსმენები თბილისში დარჩნენ. ერთი რამ ვერ გამიგია: რატომ შეგვაქვს ასეთი ღონისძიებები გეგმაში, თუ მათი განხორციელების თავი და საშუალება არ გაგვაჩნია? განა უმჯობესი არ იქნება წინასწარვე ვიცოდეთ, რომ ასეთი ღონისძიება კალენდრით არ არის გათვალისწინებული?

● **კარგად ვიცით, ლევან თედიაშვილი არ არის ის კაცი, სიძნელეებს რომ უშინდება. ისიც ვიცით, რომ ქალაქის სპორტკომიტეტში გარკვეული გეგმებით მოხვედით. გვაინტერესებს, როგორ გაქვთ წარმოდგენილი კომიტეტის შემდგომი საქმიანობა — რა უნდა იყოს მის მუშაობაში უმთავრესი და რა — მეორეხარისხოვანი?**

— თბილისის სპორტკომიტეტის უპირველესი ამოცანაა მასობრივი სპორტისა და მასობრივი ფიზკულტურის ყოველმხრივი და ფართო განვითარება. მაგრამ მასობრიობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ავურიოთ პარადულობასა და მოჩვენებითობაში. ერთ მაგალითს მოვიყვან: თბილისში პერიოდულად ტარდება სხვადასხვა სახის ესტაფეტები, კროსები. მე ამ ღონისძიებათა მნიშვნელობა, უნდა გამოვტყდე, არ მესმის. რა მიზანს ისახავენ ისინი? ჩატარდა ასეთი კროსი, ესტაფეტა, მორჩა და გათავდა. მხოლოდ ვალი მოვიხადეთ, ვიღაცას თვალი ავუხვიეთ. სარგებლობა — არავითარი. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ეს ყველაფერი ხდება თბილისის ზღვაზე ან ლისის ტბის მიდამოებში, პარკებში, ხევებში. აქ, ამ ადგილებში, ჰაერიც მეტია, საშუალებაც, ხალისიც. სად ქალაქის ქუჩებში, მანქანების გამონაბოლქვში რბენა და სად — სუფთა, კრიალა ჰაერის სუნთქვა?

● **ჩვენც სავსებით გეთანხმებით, რომ ქალაქის პარკები, მწვანე მასივები, თბილისის ზღვა, ლისისა და კუს ტბები ნამდვილად ჯანმრთელობის ზონებად უნდა ვაქციოთ.**

— ქვეყნის ბევრ ქალაქში ჯანმრთელობის ზონები მთელი დატვირთვით მუშაობს, ჩვენ კი რატომღაც ჰაერზე გასვლა სამარცხვინო საქმედ მიგვაჩნია. კუს ტბაზე ხშირად მინახავს საშუალო ასაკის მოვარჯიშე მამაკაცები. ისინი იქ ჯანმრთელობის მდგომარეობამ მიიყვანა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ადრე დაგვეწყო გამაჯანსაღებელი რბენა, სიარული, სანამ ამას ექიმი გვირჩევდა? დარწმუნებული ვარ, ბევრი დროის უქონლობას მოიმიზეზებს, ბევრი — სიშორეს. დროისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ასეთი ობიექტების სიმრავლე ტერიტორიულ უხერხულობას, ცხადია, მოსპობს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველ მიკრორაიონს თავისი კეთილმოწყობილი ჯანმრთელობის ზონა ჰქონდეს.

● **თუ გვგულებათ ასეთი გამოუყენებელი ტერიტორიები?**

— რამდენიც გნებავთ. აი თუნდაც სპორტის სასახლის გვერდით. აქ, სხვათა შორის, მთელი სპორტულ-ფიზკულტურული კომპლექსის მოწყობა შეიძლება. აქვე შეიძლება სპორტსმენებისთვის სასტუმროს აშენება. ნუ იქნება დიდი, იყოს, ვთქვათ, 100-ადგილიანი, მაგრამ უსათუოდ სპორტსმენებისთვის განკუთვნილი. ვინ მოთვლის, ამით რამდენ უხერხულობას ავიცდენდით თავიდან, რამდენ პრობლემას გადავჭრიდით. სპორტის სასახლის ტერიტორიაზე მშვენიერი საციგურაო მოედნის მოწყობაც შეიძლება — მისთვის უკვე გვაქვს ... წელიწადზე მეტია გამოუყენებელი გვაქვს ყინულის საფარის შემქნელი, საკმაოდ ძვირადღირებული დანადგარი. რა საჭირო იყო მისი შეძენა და თბილისში ჩამოტანა, თუ არასოდეს ავამუშავებდით?

● **თუ გაქვთ რაიმე კონკრეტული გეგმები მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდასთან დაკავშირებით?**

— თბილისის სპორტკომიტეტს განათლების სამინისტროს შესაბამის სამსახურთან საქმიანი ურთიერთობა აქვს, მაგრამ ეს კონტაქტი ამიერიდან უფრო ქმედითი და ეფექტური უნდა გავხადოთ. გადაწყვეტილი გვაქვს არქიტექტორებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებაც. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თბილისში, ამიერიდან მაინც, არც ერთი საბავშვო ბაღი მცირე ზომის საჭყუმპალაოს, მარტივი ტიპის სპორტული მოედნის გარეშე არ აშენდეს. ჩვენი ქალაქი ყოველწლიურად იზრდება და მშვენიერდება, შენდება უამრავი საცხოვრებელი ბინა, მასივები. მაგრამ უმრავლესობას სპორტული მოედნები არ გააჩნია. პირველ ხანებში ამაზე არავინ ფიქრობს. ჯერ იწყება ტერიტორიის ძებნა მანქანების სადგომისათვის, სპორტული მოედნები თავიანთი შვილებისა და შვილიშვილებისთვის მერეღა ახსენდებათ. ეს მოზარდი თაობისადმი უპატივცემლობად მიმაჩნია. არქიტექტორებთან კონტაქტის დამყარებას სწორედ იმიტომ ვფიქრობთ, რომ ასეთი ლაფსუსები არ განმეორდეს. ნუთუ ასე ძნელია პროექტის შედგენისას მანქანების სადგომის ადგილისა და სპორტული მოედნების გათვალისწინება? განა არ ჯობს თექვსმეტსართულიან სახლს ერთი სართული დავაკლოთ და ყველაფერი წინასწარ განვსაზღვროთ, ვიდრე მერე ვეძებოთ გამოსავალი, სახსრები და უკვე აშენებული ვანგრიოთ?

● **საუბარი ცოტა გაგვიგრძელდა, მაგრამ ის, რაც უკვე ბრძანეთ, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თბილისის სპორტკომიტეტი ფართო და ყოველმხრივი სამოქმედო პროგრამა დაუსახავს. გისურვებთ წარმატებებს თქვენს მომავალ საქმიანობაში.**

—პროგრამა მართლაც დიდი გვაქვს და შესაბამისი ორგანიზაციებისაგანაც საქმიან მხარდაჭერას ველით. საკუთარი ძალებით ფონს, ცხადია, ვერ გავალთ. მაგრამ ვიცით, რომ მხარში ამოგვიდგება რესპუბლიკის სპორტსახკომი, პროფკავშირები, ყველა დაინტერესებული სამინისტრო და უწყება. ბოლოს და ბოლოს ჩვენ ყველანი ხომ ერთ საქმეს ვემსახურებით — სპორტის დანერგვა-განვითარებას, ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზრუნვას.

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

რედაქციას უპასუხებს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭო

# „რატომ და რა უფლებით?“

„ლელოს“ 1987 წლის 22 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი „რატომ და რა უფლებით?“, რომელიც ეხებოდა ბაგების სტუდენტთა ქალაქის კალათბურთის მოედნის სავალალო მდგომარეობას, სინამდვილეს შეეფერება.

აღნიშნული მოედნისა და საერთოდ სტუდქალაქის სხვა სპორტული ნაგებობების კეთილმოწყობის საკითხებზე იმსჯელა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ. უკვე შეკეთდა კალათბურთის მოედნის ლობე, აღდგა კალათბურთის ფარები, ნაგვისგან გაიწმინდა ტერიტორია.

ახლა სტუდქალაქის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ღია სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოები. კეთდება ფეხბურთის, ფრენბურთის (ორი), კალათბურთის, ჩოგბურთის მოედნები, რომელთა დამთავრება გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ბოლოსათვის.

სტუდენტთა ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო შეფობის წესით მოაწყობს დახურულ სპორტულ დარბაზს. 1988 წლისათვის სტუდქალაქის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია დახურული ტიპის სპორტული მანეჟის დამონტაჟება. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ სრულყოფას.

ზ. კეკელიძე,
აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

# არჩევენ კანდიდატებს

რუსთავში ჩატარდა მოსწავლე სამბისტთა რესპუბლიკური პირველობის ფინალი, რომელშიც გამოდიოდნენ ზონალურ სპარტაკიადებში გამარჯვებული გუნდები და პირად ასპარეზობაში გამორჩეული სპორტსმენები. ამ შეჯიბრების მიზანი გახლდათ სპორტსკოლების აღსაზრდელთა საკავშირო თამაშებისთვის საქართველოს ნაკრების წევრთა საბოლოო შერჩევა.

შეჯიბრება ერთი-ორად უფრო საინტერესო გახადა მესტიელ მოჭიდავეთა გამოსვლებმა. მათგან რამდენიმემ კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინა. ისინი, ცხადია, დაიკავებენ ადგილს ნაკრებში. სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს თბილისის, რუსთავის და რესპუბლიკის რიგი რაიონების სამბისტთა ოსტატობას.

პირველობა 16 წონაში გათამაშდა. გამარჯვებები წონითი კატეგორიების მიხედვით მოიპოვეს: ... ოდიშვილმა (თბილისი), ფ. ჯ... აშვილმა (კასპი), ვ. მელაძემ (თბილისი), ა. ჭიაურელმა (საგარეჯო), კ. კუსიდიმ (სოხუმი), მ. თურქ... (ფოთი), ... ღვალაძემ (რუსთავი), ... რ. ლაფერაშვილმა, მ. სუკიასი... (ორივე — თბილისი), ბ. ერაშვილმა (კასპი), ბ. გოშთელიანმა (მესტია), დ. აკოფიანმა (სოხუმი), ... ქორქოლიანმა (მესტია), ფ. ყვა... ლაშვილმა (რუსთავი), გ. გავარ... შვილმა (ახმეტა), გ. ხურციძემ (... თაისი).

# ჩაბუქთა II რესპუბლიკური თამაშები

## გუნდური პირველობის შედეგები

მდგომარეობა 5 ივნისისათვის, სპორტის 16 სახეობაში ჩატარებული შეჯიბრებების შემდეგ

I ჯგუფი

(მსხვილი ქალაქები და რეგიონები)

| | | |
|---|---|---|
| 1. | თბილისი — | 7592,5 ქ. |
| 2. | ქუთაისი — | 4807 |
| 3. | აფხაზეთი — | 4208,5 |
| 4. | აჭარა — | 3196,5 |
| 5. | რუსთავი — | 1612,5 |
| 6. | სამხრეთ ოსეთი — | 628 |

II ჯგუფი (ქალაქები)

| | | |
|---|---|---|
| 1. | ფოთი — | 1808 ქ. |
| 2. | გორი — | 583,5 |
| 3. | წყალტუბო — | 452,5 |
| 4. | ჭიათურა — | 291,5 |
| 5. | ტყიბული — | 126 |
| 6. | ზუგდიდი — | 14 |
| 7. | მარნეული — | 0 |

III ჯგუფი (რაიონები)

| | | |
|---|---|---|
| 1. | მცხეთა — | 882 ქ. |
| 2. | ხობი — | 343 |
| 3. | საჩხერე — | 332 |
| 4. | ბორჯომი — | 231 |
| 5. | მაიაკოვსკი — | 225 |
| 6. | სამტრედია — | 223 |
| 7. | ზუგდიდი — | 209 |
| 8. | მახარაძე — | 207 |
| 9. | გარდაბანი — | 183,5 |
| 10. | საგარეჯო — | 182,5 |
| 11 | ცხაკაია — | 151 |
| 12. | თელავი — | 150,5 |
| 13. | ბოლნისი — | 138 |
| 14. | ლანჩხუთი — | 127 |
| 15. | ზესტაფონი — | 122 |
| 16. | წალენჯიხა — | 114 |
| 17. | ახმეტა — | 113,5 |
| 18. | ლენტეხი — | 106,5 |
| 19. | გურჯაანი — | 106 |
| 20. | ვანი — | 100 |
| 21. | გორი — | 95 |
| 22. | კასპი — | 94,5 |
| 23. | ორჯონიკიძე — | 88 |
| 24. | მესტია — | 84 |
| 25. | სიღნაღი — | 83,5 |
| 26. | ყვარელი — | 81 |
| 27. | წალკა — | 60 |
| 28. | აბაშა — | 52 |
| 29. | ხაშური — | 51,5 |
| 30. | ქარელი — | 45 |
| 31. | ახალციხე — | 43 |
| 32. | ონი — | 33 |
| 33. 34. | წითელი წყარო — | 25 |
| 33-34 | გეგეჭკორი — | 25 |
| 35. | ლაგოდეხი — | 22,5 |
| 36. | ზუგდიდი — | 7 |
| 37. | მარნეული — | 3 |
| 38. | ჩოხატაური — | 1 |

დღემდე ჩატარებული სპორტის 16 სახეობიდან არც ერთში არ მიუღიათ მონაწილეობა ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ბოგდანოვკის, დმანისის, დუშეთის, ყაზბეგის, თეთრიწყაროს(?) — თერჯოლის, თეთრი წყაროს, თიანეთის, ცაგერის, წულუკიძის, ჩხოროწყუს რაიონებს.

შენიშვნა: შეჯიბრებები ჩატარდა ბადმინტონში, კრივში, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოში, ნიჩბოსნობაში (აკადემიური, ბაიდარა და კანოე), წყალბურთში, წყალში ხტომაში, ბატუტზე ხტომაში, სინქრონულ ცურვაში, ტყვიის სროლაში, მაგიდის ჩოგბურთში, ძალოსნობაში, ცხენოსნობასა და ცურვაში.

თამაშების სამდივნო.

# ცვლილებები კალენდარში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ კვლავ შეცვალა საკავშირო ჩემპიონატის განრიგი. ფეხბურთის მოყვარულებს ვთხოვთ ეს ცვლილებები შეიტანონ თავიანთ კალენდარში:

18 ივნისი. „დინამო“ (კიევი) — „ჟალგირისი“

3 აგვისტო. „გურია“ — „დინამო“ (კიევი)

8 ნოემბერი. „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი)

12 ნოემბერი. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი)

16 ნოემბერი. „დინამო“ (კიევი) — „გურია“

20 ნოემბერი. „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი).

შეიცვალა მინსკისა და კიევის დინამოელთა შეხვედრების თარიღებიც. პირველი წრის მატჩს ეს გუნდები 3 ივლისს გამართავენ კიევში, ხოლო მეორე წრისას — 2 სექტემბერს მინსკში.

თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „დინამო“ ერთმანეთს შეხვდებიან 14 ივნისს, მოსკოვის „ტორპედო“ და ლენინგრადის „ზენიტი“ — 30 ივნისს, ხოლო „გურია“ და ცსკა — 29 სექტემბერს.

## მკითხველი — გაზეთი

ჩვენი გაზეთის მკითხველები, თბილისელი ფეხბურთის მოყვარულები ა. და გ. ბეროზაშვილები, კ. გურაბანიძე, მ. ჯოლერდიშვილი გვწერენ:

„ბევრჯერ გვსმენია, რომ თბილისის „დინამოს“ ესპანეთში გამართულ საფეხბურთო ტურნირზე „კარაველას თასი“ მოუპოვებია. გთხოვთ გაგვაცნოთ რა ტურნირი იყო, ვინ მონაწილეობდა მასში, აგრეთვე თბილისის „დინამოს“ შემადგენლობა“.

თბილისის დინამოელებმა ამ წარმატებას 1973 წლის აგვისტოში მიაღწიეს. შეჯიბრება ტრადიციულად იმართება ესპანეთის ქალაქ უელვაში, დასაბამი მას 1965 წელს მიეცა, ტურნირის ორგანიზატორები იწვევენ როგორც ევროპის, ისე სამხრეთ ამერიკის ცნობილ კლუბებს. პრიზს სხვადასხვა დროს ფლობდნენ მადრიდის „ატლეტიკო“, ბრაზილიის „სან-პაულუ“, მადრიდის „რეალი“ და მათი რანგის სხვა ცნობილი კლუბები. ტურნირის პრიზი ამერიკის კონტინენტის აღმომჩენის ქრისტეფორე კოლუმბის ხომალდის ზუსტი ასლია, კარაველა სიმაღლით ერთი მეტრია, 32 კილოგრამს იწონის, მოვარაყებულია ოქროთი და პლატინით. პრიზი შეფასებულია 10.000 დოლარად.

ტურნირის რეგლამენტი მეტად მკაცრია: შაბათს იმართება ნახევარფინალები, კვირას კი გამარჯვებულები ერთმანეთს ხვდებიან მთავარი პრიზისთვის, ამავე დღეს იმართება მატჩი III ადგილისთვის.

ქ. უელვას 1973 წლის ტურნირში მონაწილეობდნენ თბილისის „დინამო“, პორტუგალიის ჩემპიონი — ლისაბონის „ბენფიკა“, ესპანეთის ჩემპიონი — მადრიდის „ატლეტიკო“ და ინგლისის 1972 წლის ჩემპიონი — „დერბი ქაუნთი“.

თბილისის „დინამოს“ პირველი მატჩი მადრიდის „ატლეტიკოსთან“ ჰქონდა, 90 წუთი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0, დამატებითი პენალტებით გაიმარჯვეს თბილისელებმა — 4:2. საინტერესოა, რომ „დინამოს“ მეკარემ დავით გოგიამ აიღო ორი 11-მეტრიანი.

ეს იყო 18 აგვისტოს, მეორე დღეს კი „დინამო“ ფინალში შეხვდა „ბენფიკას“ და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1, ერთი ბურთი გაიტანა ყიფიანმა, ორი — გუცაევმა. ვლადიმერ გუცაევი ამ ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. მატჩი მესამე ადგილისთვის „დერბი ქაუნთიმ“ მოუგო „ატლეტიკოს“ — 2:1.

თბილისის „დინამო“ ამ ტურნირში ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ჰელიძე, ხინჩაგაშვილი, ასათიანი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, გუცაევი, ყიფიანი, ლ. ნოდია, მჭედლიშვილი, წერეთელი.

• • •



სურათზე: თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა მიერ 1973 წელს ესპანეთის ქალაქ უელვაში მოპოვებული „კარაველას თასი“.

# ფეხბურთის ფედერაცი[illegible]

ბიბლიოთეკა

2 ივნისს დამთავრდა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშების პირველი წრე. ტურნირი მცირე ხნით შეწყდა, მეორე წრის მატჩები დაიწყება 29 აგვისტოს.

შექმნილია 4 წინასწარი ჯგუფი. მეოთხედფინალებში ბრძოლას განაგრძობენ ჯგუფებში I-II ადგილებზე გასული გუნდები. ამ ეტაპის მატჩები შედგება 11 ოქტომბერს, 25 ოქტომბერს გაიმართება ნახევარფინალები, ფინალური მატჩი კი შედგება 21 ნოემბერს.

პირველი წრის შემდეგ ჯგუფებში ასეთი მდგომარეობაა:

„ა“ ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 4 |
| „დინამო“ მ. | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 3 |
| „ტორპედო“ | 3 | 0 | 3 | 0 | 4-4 | 3 |
| ცსკა | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |

„ბ“ ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ თბ. | 3 | 2 | 1 | 0 | 9-4 | 5 |
| „ნეფთჩი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 5 |
| „გურია“ | 3 | 1 | 0 | 2 | 4-7 | 2 |
| „არარატი“ | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |

„ც“ ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ მნ. | 3 | 2 | 1 | 0 | 7-4 | 5 |
| „ჟალგირისი“ | 3 | 1 | 2 | 0 | 5-2 | 4 |
| „ზენიტი“ | 3 | 1 | 0 | 2 | 6-8 | 2 |
| „ქაირათი“ | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |

„დ“ ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალისტი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 5 |
| „დნეპრი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 5 |
| „შახტიორი“ | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 2 |
| „დინამო“ კ. | 3 | 0 | 0 | 3 | 0-4 | 0 |

## სსრ კავშირის ჩემპიონატი

გუშინ მოსკოვში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი. ადგილობრივმა ტორპედოელებმა მიიღეს მინსკის „დინამო“. თამაში დამთავრდა მინსკელთა გამარჯვებით — 1:0.

## მარადონა — ყურადღების ცენტრში

ცნობილმა არგენტინელმა ფეხბურთელმა დიეგო მარადონამ ამას წინათ განაცხადა, რომ იტალიის „ნაპოლისთან“ კონტრაქტს გააგრძელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი უმცროსი ძმა ხუგო მარადონა იტალიის რომელიმე კლუბში ითამაშებს. სულ ერთია სად, — თქვა დ. მარადონამ. — ოღონდ, მინდა ჩემს ახლოს იმყოფებოდეს...

არგენტინაში სულ ახლახან საფოსტო მარკების სერია გამოუშვეს, რომელიც განვლილ მსოფლიო ჩემპიონატში არგენტინის ნაკრების ტრიუმფს მიეძღვნა. თითქმის ყოველ მარკაზე დიეგო მარადონაა აღბეჭდილი.

მოვიდა კიდევ ერთი ახალი ცნობა, რომელიც კვლავ დიეგო მარადონას ეხება. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას განზრახული აქვს ამ ზაფხულს ციურიხში გამართოს საერთაშორისო მატჩი არგენტინისა და იტალიის ნაკრებ გუნდებს შორის. გამოჩენილ ფეხბურთელს სთხოვეს მსოფლიო ჩემპიონთა რიგებში ითამაშოს.

— ამას რა თხოვნა უნდა, — განაცხადა მარადონამ, — ვითამაშებ აუცილებლად.

## ალკოჰოლს — უარი!

უეფა-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა და 1988 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტეს კონტინენტის მომავალი ჩემპიონატის დღეებში კატეგორიულად აკრძალონ ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა იქ, სადაც გათამაშების მატჩები ჩატარდება. ეს აკრძალვა ეხება ყველას — შეჯიბრების საპატიო სტუმრებსაც და აკრედიტებულ ჟურნალისტებსაც კი.

## გაქრა... პრეზიდენტი

რომი. იტალიის ქალაქ აველინოს პოლიცია ფეხზეა დამდგარი. აქ საგანგაშო მდგომარეობა გამოცხადდა: უგზოუკვლოდ გაქრა ადგილობრივი ცნობილი საფეხბურთო კლუბის „აველინოს“ პრეზიდენტი ელიო გრაციანო. „აველინო“ იტალიის უმაღლესი ეშელონის მონაწილეა, მისი პრეზიდენტიც საკმაოდ გავლენიანი პიროვნება გახლავთ და თავისთავად ეს დიდ რეზონანსს იწვევს, მაგრამ საგანგაშო ისაა, რომ ელიო გრაციანოსთან ერთად გაქრა კლუბის ხაზინაც, იქ კი ქალაქის სტადიონის რეკონსტრუქციისთვის გათვალისწინებული 4 მილიონი დოლარი ინახებოდა...



იტალიაში ახლა დიდი მითქმამოთქმაა, პოლიცია იუწყება, რომ ე. გრაციანოს „ვილაცამ“ ადრევე შეატყობინა დაპატიმრებას რომ უპირებდნენ და ისიც უმალ დაიმალა. ეს მას არც გასჭირვებია: პრეზიდენტის მდიდრული აგარაკის მწვანე მოლზე წინასწარ გამზადებული იდგა ვერტმფრენი.

„აველინოს“ წარმომადგენელმა ჟურნალისტებს განუცხადა: „ჩვენთვის ეს დიდი მოულოდნელობაა. თუ ბრალდებანი დადასტურდა და, ალბათ, ეს ასეც იქნება, კლუბს სრული გაკოტრება ელის“.

## ზამბია, ალჟირი...

აფრიკის საფეხბურთო კონფედერაციას განზრახული აქვს კონტინენტის 1988 წლის ეროვნული გუნდების ჩემპიონატი 10-24 აპრილს გამართოს ზამბიაში, 1990 წლის ჩემპიონატი კი ალჟირში 1-12 მარტს.

## კვირიდან კვირამდე

„პრავდა“ — 31 მაისი. „მათი დროც დადგა“. წერილი მოგვითხრობს ცნობილ სიგრძეზე მხტომელ რობერტ ემიანზე და კლასიკური სტილით მოჭიდავე დაულეტ ტურლიხანოვზე. 1 ივნისი. დადგა ზაფხული. ამ დროს ბევრს იზიდავს წყალი. მასობრივი ბანაობა კი ზოგჯერ სიხარულის მაგიერ ტრაგედიით მთავრდება. წერილში „ზედმეტი ბავშვები, ანუ „პატარა წყლის“ დიდი საზრუნავი“ მკითხველებს ესაუბრება სპორტის ოსტატი ი. იაკუბენკო.

„სოვეტსკი სპორტი“ — 31 მაისი. საბჭოთა ფეხბურთში ყოველწლიურად ჩნდებიან ნიჭიერი მოთამაშეები, მაგრამ მათგან მხოლოდ თითო-ოროლა თუ ხდება მაღალი კლასის ოსტატი. რატომ? სწორედ ამაზეა საუბარი წერილში „ადრე ხომ არ ჰკრეს ბუკ-ნაღარას?“. 4 ივნისი. 309 მილიონ დოლარად იყიდა ამერიკულმა ტელეკომპანიამ ეი-ბი-სი-მ 1988 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ი. ზემლიანსკის პუბლიკაციის სათაურია „ყველგან ფული, ფული, ფული...“

„კომსომოლსკაია პრავდა“—31 მაისი. „მარტოდმარტო სტადიონის მინდორზე“. წერილი მოგვითხრობს კაცზე, რომელმაც, შეიძლება ითქვას, მარტო ააშენა სტადიონი. 2 ივნისი. თანამედროვე სპორტის, განსაკუთრებით კი პროფესიონალურის, ნამდვილ უბედურებად იქცა დოპინგის პრობლემა. ამის შესახებ მოგვითხრობს ნ. დოლგოპოლოვი წერილში „გარღვევა სიკვდილისკენ“.

„ტრუდი“ — 2 ივნისი. „როდესაც მაყურებელი ავიწყდებათ“. წერილში, რომელსაც ხელს აწერენ ცნობილი ჟურნალისტები ვ. ვატუტინი, ვ. დვორცოვი და სპორტული კომენტატორი ნ. ოზეროვი, მწვავედაა დასმული საკითხი, თუ როგორ დავუბრუნოთ პრესტიჟი ქვეყნის ჩემპიონატებს.

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი ჭადრაკში

# ორი პარტია გადადებულია

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა ვაჟთა 47-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის I ტურის შეხვედრები. რეგლამენტით, ორმოც სვლაზე თითოეულ მონაწილეს ორი საათი ეძლევა მოსაფიქრებლად, შემდეგ — კიდევ თითო საათი მომდევნო ოც სვლაზე პარტიის გადადებამდე, ამიტომ გადადებული პარტიების რიცხვი არც ისე დიდია ხოლმე. ასე მოხდა პირველ ტურშიც — მხოლოდ ორი პარტია გადაიდო.

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა გია გიორგაძისა და კახა შალამბერიძის შეხვედრა, რომელშიც წარმატებას გიორგაძემ მიაღწია. ლაშა ჯანჯღავამ შავებით თავიდანვე დიდი პოზიციური უპირატესობა მოიპოვა ბესიკ ხეცურიანთან შეხვედრაში. პარტია ენდშპილში გადავიდა, სადაც ჯანჯღავას ლაზიერის ფრთაზე გამსვლელი პაიკი შერჩა. მან ზუსტად გამოიყენა უპირატესობა და გაიმარჯვა. დიმიტრი გედევანიშვილისა და გია ბალათუროვის პარტიაში უპირატესობას ბალათუროვი დაეუფლა. ლაზიერის ფრთაზე მან სახიფათო შეტევა წამოიწყო. გედევანიშვილმა ხარისხი დათმო, მაგრამ სანაცვლოდ ვერაფერი მიიღო და მეტოქეს დანებდა. მიხეილ კრასენკოვი და ზურაბ სტურუა მეოცე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. კიდევ უფრო სწრაფად, უკვე მე-17 სვლაზე დაზავდნენ დავით ჩაჩიბაია და გოჩა ტყეშელაშვილი(?) — ტყებუჩავა.

როგორც დასაწყისში ვთქვით, ორი პარტია გადაიდო. თამაზ ტაბატაძეს იგორ ეფიმოვთან ზედმეტი ეტლი ჰყავს, მაგრამ პოზიცია მაინც მეტად რთულია, რადგან მეტოქეს გამსვლელი პაიკის დიდი იმედი აქვს. პაატა გაფრინდაშვილისა და ნუკრი მანაგაძის პარტიაში ყაიმია მოსალოდნელი, თუმცა მანაგაძეს ზედმეტი ხარისხი აქვს.

ვასილ ვაშაკიძე,
ოსტატობის კანდიდატი.



## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

გთავაზობთ კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურის ტექნიკურ შედეგებს:

**30 მაისი. გორი —ხოხუმი 69:102 (31:51). მსაჯები: რ. ხომერიკი, ვ. გოლოვანოვი, კომისარი — ლ. ფალავანდიშვილი (ყველა — თბილისი).**

**გორი:** ზამთარაძე (23), სამხარაძე (17), რუსიშვილი (9), სულხანიშვილი (7), ჩხეტიანი (6), ინაური (4), ქერდიყოშვილი (3).

**სოხუმი:** ბალათურია (29), სულავა (21), ჯგერენაია (16), პირველი (15), სუშჩენკო (12), სონინი (9).

**31 მაისი. გორი — ხოხუმი 81:77 (34:38). მსაჯები: რ. ხომერიკი, ვ. გოლოვანოვი, კომისარი — ლ. ფალავანდიშვილი (ყველა — თბილისი).**

**გორი:** სამხარაძე (36), ინაური (22), სულხანიშვილი (9), ზამთარაძე (8), ჩხეტიანი (4), რუსიშვილი (2).

**სოხუმი:** ბალათურია (28), ჯგერენაია (16), სუშჩენკო (13), სულავა (11), პირველი (5), ჭითავა (2), ჩუბინიძე (2).

**30 მაისი. თელავი — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 78:85 (33:38). მსაჯები: ს. მალალაშვილი, ა. როსტომაშვილი, კომისარი — ი. მირიანაშვილი (ყველა — თბილისი).**

## საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

**თელავი:** უძილაური (26), სულხანიშვილი (17), დალელიშვილი (17), ტუხაშვილი (8), ვარდიაშვილი (6), ბოლქვაძე (4).

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** ლიპარტელიანი (22), კობეშავიძე (22), ჩერქეზიშვილი (15), დადიანი (12), დათიკაშვილი (9), ტომარაძე (5).

**31 მაისი. თელავი — ფიზკულტურის ინსტიტუტი 80:100 (34:35). მსაჯები: ს. მალალაშვილი, ა. როსტომაშვილი, კომისარი — ი. მირიანაშვილი (ყველა — თბილისი).**

**თელავი:** უძილაური (25), ტუხაშვილი (20), დალელიშვილი (17), ბოლქვაძე (10), სულხანიშვილი (4), ვარდიაშვილი (2), წიქარიშვილი (2).

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** ლიპარტელიანი (34), ჩერქეზიშვილი (22), დათიკაშვილი (21), კობეშავიძე (10), ტომარაძე (7), დადიანი (6).

**30 მაისი. ქუთაისი — „სინათლე" 70:65 (36:33). მსაჯები: ზ. აბაშიძე (სამტრედია), დ. ანდრიაძე, კომისარი — ტ. ჯაფარიძე (წულუკიძე).**

**ქუთაისი:** ხუჯაძე (20), გოქსაძე (17), ნაცვლიშვილი (13), გუბელაძე (9), ლ. ვაშაკიძე (7), კანდელაკი (2), ბუაძე (2).

**„სინათლე":** ჯორჯიკია (22), ქორქია (18), ძიძიგური (9), სინჯარაძე (9), ჩაჩხიანი (4), ჩაჩანიძე (3).

**31 მაისი. ქუთაისი — „სინათლე" 61:72. მსაჯები: ზ. აბაშიძე (სამტრედია), დ. ანდრიაძე, კომისარი — ტ. ჯაფარიძე (წულუკიძე).**

**ქუთაისი:** ხუჯაძე (20), ნაცვლიშვილი (14), ნადირაძე (11), გუბელაძე (8), ლ. ვაშაკიძე (6), ბუაძე (2).

**„სინათლე":** ჯორჯიკია (18), ქორქია (16), სინჯარაძე (16), ძიძიგური (10), ჩაჩხიანი (10), შავლოხოვი (2).

**30 მაისი. რუსთავი — უნივერსიტეტი (თბილისი) 93:94 (39:37). მსაჯები: რ. გოგელია, გ. მოლოდინაშვილი, კომისარი — ა. მესხი (ყველა — თბილისი).**

**რუსთავი:** ჭანტურიძე (30), გაჩეჩილაძე (19), აბაშიძე (15), კეჭაყმაძე (15), ქობულაძე (6), კიკვიძე (5), შეხოვცევი (3).

**უნივერსიტეტი:** ბოროდაჩოვი (32), ძიძავა (30), ლომიძე (15), ჯავახიშვილი (6), კვინიკაძე (6), კობახიძე (5).

**31 მაისი. რუსთავი — უნივერსიტეტი (თბილისი) 90:108 (43:53). მსაჯები: რ. გოგელია, ვ. ლომიძე, კომისარი — ა. მესხი (ყველა — თბილისი).**

**რუსთავი:** ქობულაძე (20), ჭანტურიძე (18), გაჩეჩილაძე (18), აბაშიძე (15), კეჭაყმაძე (15), შეხოვცევი (4).

**უნივერსიტეტი:** ძიძავა (22), ბოროდაჩოვი (22), ლომიძე (20), კობახიძე (12), კვინიკაძე (9), ნათობიძე (9), ხუხაშვილი (6), ცაგარეიშვილი (4), დვალი (2), ჯავახიშვილი (2).

**2 ივნისი. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო" 84:79 (40:40). მსაჯები: მ. ქურიძე, ვ. გოლოვანოვი, კომისარი მ. ბაგრატიონი (ყველა — თბილისი).**

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი:** გიორგობიანი (29), ვაშაკიძე (22), გაბრიჭიძე (13), გოგელია (11), პეტრიაშვილი (7), ჯამარჯიშვილი (2).

**„დინამო":** გეგეშიძე (26), დაუშვილი (17), ქორფაშვილი (16), ქურდოვანიძე (6), მოველიძე (6), ი. ბაქრაძე (4), ა. ბაქრაძე (2), ცაგარეიშვილი (2).

**3 ივნისი. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო" 81:73 (51:40). მსაჯები: ს. მალალაშვილი, ვ. გოლოვანოვი, კომისარი — მ. ბაგრატიონი (ყველა — თბილისი).**

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი:** გაბრიჭიძე (32), ვაშაკიძე (17), პეტრიაშვილი (9), ლიპარტელიანი (8), ცაგარეიშვილი (6), გოგელია (6), ქამუშაძე (2), ჯამარჯიშვილი (1).

**„დინამო":** გეგეშიძე (18), ქურდოვანიძე (15), დაუშვილი (9), ქორფაშვილი (8), მოველიძე (8), ბერიძე (6), ა. ბაქრაძე (5), ვასაძე (4).

**4 ივნისი. „მართვე" (თბილისი)— ბათუმი 108:68. მსაჯები: ს. მალალაშვილი, ა. როსტომაშვილი, კომისარი — მ. ბაგრატიონი (ყველა— თბილისი).**

**„მართვე":** ორმოცაძე (22), ცხვედიანი (20), გ. ქართველიშვილი (12), რევაზიშვილი (10), თორთლაძე (10), ღლონტი (9), ტუხაშვილი (8), ახვლედიანი (6), შარაშენიძე (5), კ. ქართველიშვილი (4).

**ბათუმი:** შერვაშიძე (21), ლოლიშვილი (17), დიხამიძე (11), შევცოვი (10), დუმბაძე (3), მეტრეველი (2), ქლენტი (2), გედევანიშვილი (2).

**5 ივნისი. „მართვე" (თბილისი)— ბათუმი 104:80 (48:44). მსაჯები: ს. მალალაშვილი, ა. როსტომაშვილი, კომისარი — მ. ბაგრატიონი (ყველა — თბილისი).**

**„მართვე":** ღლონტი — 30, კ. ქართველიშვილი (22), ორმოცაძე (18), ცხვედიანი (12), გ. ქართველიშვილი (12), თორთლაძე (6), უსტიაშვილი (4).

**ბათუმი:** ლოლიშვილი (32), დიხამიძე (18), შევცოვი (13), ქლენტი (8), დუმბაძე (5), მეტრეველი (4).

### გათამაშების ცხრილები

**I ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| თსუ (თბ.) | 18 | 16 | 2 | 1812-1494 | 34 |
| სპი (თბილ.) | 18 | 15 | 3 | 1620-1438 | 33 |
| სოხუმი | 18 | 8 | 10 | 1539-1549 | 26 |
| „დინ." (თბ.) | 18 | 8 | 10 | 1412-1607 | 26 |
| რუსთავი | 18 | 4 | 14 | 1409-1576 | 22 |
| გორი | 18 | 3 | 15 | 1403-1631 | 21 |

**II ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სინ." (თბ.) | 18 | 15 | 3 | 1684-1461 | 33 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 18 | 14 | 4 | 1519-1395 | 32 |
| „მართვე" (თბილისი) | 18 | 11 | 7 | 1555-1430 | 29 |
| ქუთაისი | 18 | 8 | 10 | 1347-1373 | 26 |
| ბათუმი | 18 | 4 | 14 | 1344-1474 | 22 |
| თელავი | 18 | 2 | 16 | 1382-1718 | 20 |

ევროპის ჩემპიონატი

## ორი ლიდერი

**ათენი.** გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. რვენ უკვე გატყობინებდით იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის ნაკრებმა რუმინეთის გუნდი დაამარცხა ანგარიშით 121:74 (66:29). პირველი ჯგუფის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ესპანეთისა და საბერძნეთის კალათბურთელთა შეხვედრა იყო. მაყურებლის მხურვალე მხარდაჭერის მიუხედავად მასპინძლები დამარცხდნენ 89:106 (38:55). სპეციალისტთა საყოველთაო აღიარებით ეს იყო ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი.

პირველი გამარჯვება ჩაიწერეს სატურნიროო ცხრილში იუგოსლავიის კალათბურთელებმა. ამჯერად მათ საფრანგეთის გუნდი დაამარცხეს — 88:83 (50:46).

**პირველი ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 333-257 | 6 |
| სსრ კავშირი | 3 | 3 | 0 | 328-245 | 6 |
| საბერძნეთი | 3 | 2 | 1 | 282-261 | 5 |
| იუგოსლავია | 3 | 1 | 2 | 259-267 | 4 |
| საფრანგეთი | 3 | 0 | 3 | 231-306 | 3 |
| რუმინეთი | 3 | 0 | 3 | 249-346 | 3 |

## ერთი კანდიდატი

იუგოსლავიის ოლიმპიურმა კომიტეტმა თავის ერთ-ერთ სხდომაზე გადაწყვიტა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაში შესაყვანად რეკომენდაცია მისცეს ამ ქვეყნის მხოლოდ ერთ წარმომადგენელს — სლობოდან ფილიპოვიჩს.



ოთხას მეტრზე თარჯრბენში მსოფლიო რეკორდი — 47,02 წამი — შესანიშნავ ამერიკელ მძლეოსანს ედვინ მოზესს ეკუთვნის. ეს მიღწევა, რასაკვირველია, კიდევ უფრო გაუმჯობესდება, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ მომავალში რომელიმე მძლეოსანმა შეძლოს მოზესის სხვა, არანაკლებ ფანტასტიკური შედეგის გაუმჯობესება: მას

## მოზესიც დამარცხდა

შემდეგ, რაც 1977 წლის 26 აგვისტოს ევროპის ჩემპიონმა პერალდ შმიდმა მისი დამარცხება შეძლო, ამერიკელი თარჯმორბენალი 9 წლის, 9 თვისა და 9 დღის გამავლობაში 122-ჯერ გამოვიდა სტარტზე და ამდენჯერვე გამარჯვებულმა დატოვა ბილიკი. ეს უნიკალური შემთხვევაა მძლეოსნობაში.

ედვინ მოზესს გამარჯვება აქვს მოპოვებული მონრეალისა და ლოსანჯელესის ოლიმპიადებზე, ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატში და სხვა უმნიშვნელოვანეს ტურნირებში. 1984 წელს იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს. ანკეტის მიხედვით მან ჩამოიტოვა თვით კარლ ლუისიც კი, რომელიც სწორედ იმ პერიოდში ბრწყინავდა მსოფლიოს სტადიონებზე და 1984 წელს ჯესი ოუენსის ფანტასტიკური შედეგიც გაიმეორა — ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე ოთხი ოქროს მედალი დაიმსახურა.

მაგრამ, ეტყობა, დრო მაინც თავისას შვრება. 4 ივნისს მადრიდში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ედვინ მოზესი დამარცხდა. მას აჯობა ასევე ამერიკელმა, ახალგაზრდა, მზარდმა ოსტატმა დენი ჰარისმა, რომელმაც 400 მეტრზე თარჯრბენში 47,56 აჩვენა. მოზესი გამარჯვებულს 0,13 წამით ჩამორჩა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რბენის დროს მოზესმა ფეხი წამოჰკრა ბოლო, მეათე თარჯს, რამაც იგი შეაფერხა.

იმავე შეჯიბრებაში მონაწილეობდა კარლ ლუისი. მან 100 მეტრზე რბენაში ჩამოიტოვა ერთ-ერთი მთავარი მეტოქე, ნიგერიელი ჩადი იმო, აგრეთვე ახალგაზრდა თანამემამულე დევიდ უიტერსპუნი და გაიმარჯვა — 10,12. 200 მეტრზე რბენაში კი ლუისმა მართლაც ბრწყინვალე შედეგი აჩვენა — 19,92.

**სურათზე: ედვინ მოზესი.**

სსრ კავშირის ჩემპიონატი 50

### დუბლიორთა მატჩი

**გუშინ** შედგა თბილისის „დინამოსა" და დონეცკის „შახტიორის" დუბლიორ ფეხბურთელთა შეხვედრა, მატჩი დამთავრდა „შახტიორის" გამარჯვებით —2:1.

დინამოელთაგან ბურთი გაიტანა კოროლიძემ.

თბილისელთა შემადგენლობა: მალისოვი, ფირცხალავა, თეთრაძე, ბიგვავა, მალანია (კაველაშვილი), კაკილაშვილი (წიკლაური), სჯანაძე, აფციაური, ცაავა (ჯიშკარიანი), კოროლიძე (ავსაჯანიშვილი), მიქაშავიძე.

## ლელო დარჩა რამდენიმე დღე

**რედაქციაში** ხშირად მოდის წერილები, რომლებშიც მკითხველები გვთხოვენ განვუმარტოთ, 1987 წლის მეორე ნახევრისათვის „ლელოზე" ხელმოწერის განახლება რაიმე სირთულესთან ხომ არ არის დაკავშირებული. გაცნობებთ, რომ ჩვენს გაზეთზე ხელმოწერის გაფორმება გრძელდება ჩვეულებრივად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, „სოიუზპეჩატის" ორგანიზაციებში. ოღონდ გახსოვდეთ: თუ გსურთ „ლელო" მიიღოთ 1987 წლის 1 ივლისიდან ხელმოწერა აუცილებლად უნდა გააფორმოთ 12 ივნისამდე.

მაშ ასე, დარჩა მხოლოდ რამდენიმე დღე!

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

### ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 7 ივნისი.** დილის დაჭერვა — **8.00 (1)**; რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (1)**; „სპორტლოტოს" ტირაჟი — **10.15 (1)**; ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში: გფრ—ჰოლანდია — **14.50 (2)** და ესპანეთი — სსრ კავშირი — **19.50 (2)**; ევროპის ჩემპიონატის ფინალი კროსში — **15.45 (1)**; შეჯიბრება სპორტულ ორიენტირებაში სსრ კავშირის სახტელერადიოს პრიზზე — **18.55 (2)**; საფეხბურთო მიმოხილვა — **22.40 (1)**; ძმები ზნამენსკების მემორიალი მძლეოსნობაში — **23.45 (2)**.

**საქართველოს ტელევიზია. 7 ივნისი.** სპორტული ფილმების ფესტივალი — **14.50**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (თბილისი) — „შახტიორი" (დონეცკი) — **20.00**, „გურია" (ლანჩხუთი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — **23.25**; საფეხბურთო მიმოხილვა — **22.40. 8. ივნისი.** საფეხბურთო მიმოხილვა — **9.05.**



ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი

(წერეთლის გამზირი № 2)

### 11 ივნისი ⊙ ფეხბურთი
### სსრ კავშირის ჩემპიონატი
### „დინამო" (თბილისი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)

დასაწყისი 20 საათზე.

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები სტადიონის სალაროებში გაიყიდება 8 ივნისიდან, ხოლო ორგანიზაციებში — 8, 9 და 10 ივნისს. სალაროები ღიაა 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე).

აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთების შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში.

სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გაიმართება 10 ივნისს.

დასაწყისი 19 საათზე.

უამინდობის შემთხვევაში დუბლიორთა გუნდები ითამაშებენ გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე, დასაწყისი იმავე საათზე.

**„სპორტპროგნოზი" — 24 ტირაჟი (13-14 ივნისი)**

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | |
| 1. „გეოლოგი" (ტიუმენი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 13.VI | 40 | 20 | 40 |
| 2. „კუზბასი" (კემეროვო) — ასკ „კარპატი" (ლვოვი) | 13.VI | 30 | 60 | 10 |
| 3. „პამირი" (დუშანბე) — „დაუგავა" (რიგა) | 13.VI | 10 | 40 | 50 |
| 4. „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „შინიკი" (იაროსლავლი) | 13.VI | 80 | 10 | 10 |
| 5. ასკ (როსტოვი) — „როსტსელმაში" (როსტოვი) | 13.VI | 10 | 60 | 30 |
| 6. „ზარია" (ვოროშილოვგრადი) — „დინამო" (სტავროპოლი) | 13.VI | 40 | 50 | 10 |
| 7. „კოტაიკი" (აბოვიანი) — „კოლოსი" (ნიკოპოლი) | 13.VI | 30 | 50 | 20 |
| 8. „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) | 13.VI | 30 | 30 | 40 |
| 9. „ტორპედო" (ქუთაისი) — „როტორი" (ვოლგოგრადი) | 13.VI | 60 | 30 | 10 |
| 10. „დინამო" (ბათუმი) — „ფაკელი" (ვორონეჟი) | 13.VI | 20 | 50 | 30 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 11. ზიი (ზაპოროჟიე) — ცსკა | 13.VI | 10 | 40 | 50 |
| 12. „დინამო" (ასტრახანი) — „პოლიოტი" (ჩელიაბინსკი) | 14.VI | 30 | 50 | 20 |
| **1986-1987 წწ. სსრ კავშირის თასის ფინალური მატჩი ფეხბურთში** | | | | |
| 13. „დინამო" (მინსკი) — „დინამო" (კიევი) | 14.VI | 40 | 20 | 40 |

**შენიშვნა:** თასის მატჩებში მხედველობაში მიიღება მხოლოდ თამაშის ძირითად დროში ნაჩვენები შედეგი.

ინდექსი: 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 06946